პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 34 (2077) კვირა 25 აგვისტო, 1985 წელი. ● ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

## მაღალი მორალური თვისებებით აღზრდისათვის

**მიმდინარე წლის 21 აგვისტოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში მოეწყო XVI რესპუბლიკური კომკავშირული ორთვიურის ორგანიზატორთა შეხვედრა.**

**შეხვედრას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. კვანტალიანი. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. მარგველიძე, აფხაზეთის ალკკ საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. აშუბა, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. აბუალძე, ქუთაისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. რობაქიძე, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი მ. აგრბა, ქ. თბილისის შს სამმართველოს არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსი ნ. ჯოლბორდი და სხვ.**

**მოწვეულმა ამხანაგებმა შეაჯამეს გასული ორთვიურის შედეგები და დასახეს გეგმები ახალი XVI კომკავშირული ორთვიურის შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან გაიმართება რესპუბლიკაში.**

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომავალი თაობის კეთილდღეობას არასრულწლოვანების ფიზიკურ, ზნეობრივ და პოლიტიკურ აღზრდას.

კომკავშირული ორთვიური ძირითადი მიზანია ა/წლოვანთა მხრიდან სისხლის სამართლის დანაშაულის თავიდან აცილება და მოზარდის ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

დედაქალაქის შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებში, კომკავშირული აქტივი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების რესპუბლიკურ ორთვიურს უკვე დიდი ხანია განიხილავენ, როგორც წლის განმავლობაში ამ მიმართებით წარმოებული მუშაობის ერთგვარ დათვალიერებას, ჩვენი ძალების კონცენტრირების გამოკვეთილ მონაკვეთს სოციალისტური თანაცხოვრების წორმების დარღვევის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

განვლილი ორთვიურების ჩატარების პერიოდში საქალაქო კომკავშირულ ორგანიზაციებში დაგროვდა შინაგან საქმეთა, განათლების, პროფტექგანათლების ორგანოებთან უმაღლეს სასწავლებლებთან ერთობლივი მუშაობის მდიდარი გამოცდილება, რომელიც ეჭვგარეშეა მნიშვნელოვანწილად შეგვიწყობს ხელს XVI რესპუბლიკური ორვთიურის მაღალორგანიზებულად, სადღეისო გაზრდილ მოთხოვნილებათა დონეზე ჩატარების საქმეში.

ამ მიზნით, დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად შემუშავებულია XVI რესპუბლიკური კომკავშირული ორთვიურის ჩატარების ერთობლივი კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა, ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს ორთვიურის ჩატარების საქალაქო შტაბი; ანალოგიური შტაბები ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს კომკავშირის ყველა რაიონულ კომიტეტთან. დედაქალაქი ოპერატიული თვალსაზრისით პირობითად დაყოფილია 46 სამოქმედო ზონად და თითოეულ მათგანში მსხვილ კომკავშირულ ორგანიზაციებთან შექმნილია შტაბები. მათი მუშაობის კოორდინაცია განხორციელდება საქალაქო და რაიონული შტაბების მეშვეობით.

განვლილი XV რესპუბლიკური ორთვიურის პერიოდში კომკავშირული ოპერატიული რაზმების მიერ შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად დედაქალაქის ტერიტორიაზე ჩატარებული იქნა 600-ზე მეტი რეიდი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4000-მდე ახალგაზრდამ და შინაგან საქმეთა ორგანოების 370 თანამშრომელმა. ვფიქრობთ, ამ მხრივ მუშაობა მიმდინარე წელს უფრო ინტენსიურად წარვმართოთ.

საქმიანობის ყველა ეტაპზე, კომკავშირს გააჩნდა თავისი საქმიანობის განსაკუთრებული მისამართები. ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის კუთხით ასეთ მწვავე მისამართებად დღეის-დღეობით იკვეთება ალკოჰოლიზმი და ლოთობა. სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენი საზოგადოებრიობა, მათ შორის ახალგაზრდობა, რადიკალურად განსხვავებული შეხედულებისა გახლდათ ჩვენში ალკოჰოლიზმის საკითხებზე უფრო სწორად. კი ჩვენ ალკოჰოლიზმის საკითხების რანგში არც კი განვიხილავდით ამ შეხედულებას, მაგრამ რამოდენიმე თვის დეტალურმა ანალიზმა სრულიად საპირისპიროში დაგვარწმუნა. თბილისის სამედიცინო გამოსაფხიზლებელში სადღელამისო მორიგეობამ, დაგვანახა რომ სამწუხაროდ აქ გვხვდებიან ახალგაზრდებიც და ხანდაზმულებიც, კომკავშირლები, მუშებიც და სტუდენტებიც, ახალგაზრდა ვაჟებიც და გოგონებიც. წარმოდგენილი სურათი ჩვენი რესპუბლიკისათვის მართლაც არ გახლავთ ისტორიული, ტრადიციული სურათი. ეს გახლავთ ანომალია, ჩვენდა სამწუხაროდ რეალური ანომალია და სწორედ ამიტომ გვეკისრება თითოეულ ჩვენთაგანს ორმაგი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა დღევანდელ დღეზე და პასუხისმგებლობა ჩვენი მდიდარი ტრადიციებისა და ისტორიული წარსულის წინაშე. სწორედ ეს გაორმაგებული პასუხისმგებლობა არ გვაძლევს ამ საქმეში რაიმე კომპრომისზე წასვლის უფლებას.

სწორედ ასეთი მწარე რეალობიდან გამომდინარე ვაპირებთ მოვეკიდოთ ამ საკითხებს XVI რესპუბლიკური კომკავშირული ორთვიურის განმავლობაში და არა მარტო ორთვიურის პერიოდში.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომკავშირული ორგანიზაციების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, თვალსაჩინო აგიტაციის უფრო ეფექტური გამოყენება კონკრეტულ ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების შესატყვისი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და მისი მართვის საქმეში. რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ვახერხებთ კონკრეტული ინდივიდის ოჯახის, ორგანიზაციის სატკივარი წარმოვიდგინოთ ჩვენ საერთო სატკივრად, ზოგჯერ კი პირიქით საერთო, ზოგადი სატკივარის დაკონკრეტება გვიჭირს.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების რესპუბლიკურ ორთვიურებს ყოველთვის განიხილავდა, როგორც არა მარტო ოპერატიულპროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსს, არამედ როგორც მნიშვნელოვანი აღმზრდელობითი ფუნქციის შემცველ აქციას. სწორედ ამ აღმზრდელობით ფუნქციაზე გვსურს XVI რესპუბლიკური ორთვიურის მიმდინარეობისას საგანგებო აქცენტების გაკეთება. ეს ალბათ არცაა შემთხვევითი, ვინაიდან, როგორც უკანასკნელი ორი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, ჩვენი ახალგაზრდობის ერთ გარკვეულ ნაწილს თავის ხასიათში, ქცევაში, ჩამოუყალიბდა თვისებები და მოთხოვნილებები, რომლებიც აბსოლუტურად მიუღებელია ფართო საზოგადოებისთვის.

## 25 აგვისტო მეშახტეთა დღეა



**ქ. ტყიბულის** ორჯონიკიძის სახელობის შახტა მოწინავეა. 3-ჯერ ზედიზედ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და დიპლომი. შახტის შრომითი კოლექტივი შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო წიგნში.

შინაგან საქმეთა ტყიბულის საქალაქო განყოფილების მოწინავე უბნის ინსპექტორი მილიციის უმცროსი ლეიტენანტი თეიმურაზ სვანიძე მეშახტე იყო. მრავალი შინაგან საქმეთა ორგანოების მოწინავე თანამშრომელი აღზარდა და გამოაწრთო მეშახტეთა რთულმა და საპატიო საქმიანობამ. ამ შრომითმა კოლექტივმა უშუამდგომლა შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის დაწყების დროს თ. სვანიძეს. მადლიერების გრძნობით და სამსახურეობრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებით უპასუხა ახალგაზრდა მილიციის მუშაკმა ამ დიდ ნდობას.

ის იცავს სიმშვიდეს მეშახტეთა ქალაქში.

**სურათზე:** უბნის ინსპექტორი თ. სვანიძე, მეშახტეებთან საუბრის დროს.

ჯ. ბრეგაძის ფოტო

## НА ЗАСЕДАНИИ КОЛЛЕГИИ МВД ГССР

**На днях состоялось заседание коллегии министерства внутренних дел республики, на котором был рассмотрен ряд вопросов, в том числе вопрос о работе с кадрами и состоянии дисциплины личного состава, о ходе выполнения постановлений союзного министерства, утверждено также положение об инспекторском отделе МВД Грузинской ССР.**

**По рассмотренным вопросам приняты соответствующие постановления.**

## დამრიგებელი

**ძნელად** შეხვდებით ისეთ ადამიანს, ვინც კი ლომარ დურგლიშვილს იცნობს და არ ახასიათებდეს მას, როგორც კარგ მოქალაქეს, პრინციპულ კომუნისტს, მილიციის ახალგაზრდა მუშაკების დამრიგებელს.

ცხინვალის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლ. დურგლიშვილი მუშაობას იწყებს ზნაურის რაიონულ გაზეთში. 1980 წელს კი სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი ხდება და ინიშნება რედაქტორის მოადგილედ. ხოლო 1982 წლიდან კი იწყებს ჩეკისტის მძიმე, მაგრამ საპატიო ცხოვრებას.

მილიციის უფროსი ლეიტენანტი ლ. დურგლიშვილი ცხინვალის შს საქალაქო განყოფილებასთან არსებულ მიმღებ-გამმანაწილებლის უფროსია. მას არაერთი ახალგაზრდა მილიციის მუშაკი აღუზრდია, ბევრისთვის თავისი მდიდარი გამოცდილებაც გაუზიარებია.

მისი პირველი სადამრიგებლო პირები იყვნენ რიგითი მილიციელი რ. გელუტაშვილი და დ. ბაციკაძე. ამჟამად ორივე სანიმუშო თანამშრომელია. რ. გელუტაშვილი მიღებული იქნა სკკპ რიგებში და სურვილი აქვს სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში. დ. ბაციკაძე კი სანიმუშო სპორტსმენია, რამდენჯერმე წახალისებულია ქალაქის შს განყოფილების უფროსის მიერ. იგი ემზადება პარტიაში შესასვლელად, აგრეთვე მასაც სურს სწავლის გაგრძელება.

მიმდინარე წელს ლ. დურგლიშვილი შს ორგანოებში ახლახან მიღებული თანამშრომლების გ. მინდიაშვილის და ვ. ტაბატაძის დამრიგებელი გახდა.



სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შს სამმართველოს უფროსის ბრძანებით კომუნისტი ლ. დურგლიშვილი, როგორც მოწინავე დამრიგებელი წახალისებულია ფულადი ჯილდოთი.

ვ. ყველაშვილი.

# მეტი მობილიზებით

**დაიწყო** შინაგან საქმეთა ორგანოების კომკავშირული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების კამპანია. კრებები ჩატარდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, არასაუწყებო დაცვის სამმართველოების, სამედიცინო განყოფილების კომკავშირულ ორგანიზაციებში.

კრებებზე მოისმინეს კომკავშირის მდივნების მოხსენებები გასულ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოსულებმა ყურადღება გაამახვილეს ახალგაზრდა მუშაკების აქტიურ როლზე ოპერატიულ-სამსახურეობრივ მუშაობაში. აღინიშნა, რომ გასულ პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდა თანამშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ მომზადებას და პროფესიული ცოდნის ამაღლებას. კრებებზე ითქვა, რომ საჭიროა კომკავშირელების და ახალგაზრდობის უფრო მეტი მობილიზება დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, საორგანიზაციო-კომკავშირული მუშაობის გაუმჯობესებისათვის. აღინიშნა პარტიული და ხელმძღვანელი მუშაკების დიდი როლი შს ორგანოების ახალგაზრდა მუშაკების პროფესიული ოსტატობის სრულყოფის საქმეში. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არასაუწყებო დაცვის სამმართველოს კომკავშირელთა კრებას არ ესწრებოდნენ ხელმძღვანელი მუშაკები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ შს ორგანოების ახალგაზრდა თანამშრომლები კვლავაც აიმაღლებენ პოლიტიკურ და პროფესიულ ცოდნას, რათა კარგი მაჩვენებლებით შეხვდნენ სსრ კავშირის კომპარტიის XXVII ყრილობას.

**გ. დადიანი,**
**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კომკავშირის კომიტეტის მდივანი.**

## ЗАВЕРШАЮЩЕМУ ГОДУ ПЯТИЛЕТКИ — ОТЛИЧНУЮ СЛУЖБУ



**За плечами Давида Матиашвили служба в рядах Советской Армии, университет.**

**Сагареджойский РК ЛКСМ Грузии рекомендовал его на службу в органы внутренних дел. Три года Давид работал в ОВО Орджоникидзевского РОВД. Сейчас младший лейтенант милиции Д. Матиашвили — помощник оперативного дежурного МВД Грузинской ССР.**

**За сравнительно небольшой срок службы в дежурной части Д. Матиашвили уже приобрел умение, опыт быстро реагировать на любые изменения в оперативной обстановке, грамотно действовать в сложной ситуации.**

**НА СНИМКЕ: младший лейтенант милиции Д. Матиашвили.**

Фото **С. Сычева.**

# დავამყაროთ სათანადო წესრიგი საერთო საცხოვრებლებში

**ტყიბულის** შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილება ფართო საზოგადოებრივ აქტივთან მჭიდრო ურთიერთკონტაქტში მთელი რიგ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ატარებს სამომსახურეო ტერიტორიაზე მოსალოდნელი სამართალდარღვევების აღკვეთააცილებისა და ოპერატიული ვითარების გაჯანსაღების მიზნით.

გაწეული მუშაობის ანალიზისა და მიღწეული შედეგების შეფასების შედეგად ნათლად გამოიკვეთა, რომ ჯერ კიდევ ე. წ. „აქილევსის ქუსლად" გვევლინება და საქმიანობის მკვეთრად გაუმჯობესებას ითხოვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხი მსხვილ წარმოება-დაწესებულებათა საერთო საცხოვრებლებში.

არსებულ არასახარბიელო მდგომარეობაზე ნათლად მეტყველებს დაახლოებით ბოლო ორი წლის მანძილზე საერთო საცხოვრებლებში მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულობათა ფაქტები.

მთელ ჩვენს ქალაქს სამარცხვინო ლაქა დააჩნია ტყიბულის ტექნიკური სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში ა. კანდელაკის მიერ სტუმრად ჩამოსული ფ. გინიატულინას მიმართ ჩადენილმა მძიმე დანაშაულმა, რომლის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. ასევე სამარცხვინოა პირადი ქონების ქურდობის ფაქტები ლენინის, სტალინისა და „აღმოსავლეთ 2" შახტების საერთო საცხოვრებლებში.

ყოველივე ზემოთდასახელებული ფაქტები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ საერთო საცხოვრებლების მომსახურე პერსონალი და მობინადრენი ნაკლებად ზრუნავენ შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვაზე, რის გამოც ძალზე დაბალია დისციპლინა საერთო საცხოვრებლებში. არ არის შემოღებული სასაშვო სისტემა, საერთო საცხოვრებლებში დაუბრკოლებლად შედიან და ღამეს ათევენ შემთხვევითი პირები, რომლებიც საერთოდ არ არიან ჩაწერილი და არც ცხოვრობენ იქ.

შტატგარეშე აქტივთან ერთად შინაგან საქმეთა ტყიბულის საქალაქო განყოფილების მუშაკების მიერ ხშირად მოწმდება საერთო საცხოვრებლებში, როგორც საპასპორტო რეჟიმის, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დისციპლინის მდგომარეობა.

ახლახან, პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ ჩაატარა საერთო საცხოვრებლების ხელმძღვანელ მუშაკთა და შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომელთა ერთობლივი თათბირი საერთო საცხოვრებლებში წესრიგისა და დისციპლინის ამაღლების საკითხებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ცხოვრებაში გატარებამ, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების თაობაზე, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სამომსახურეო ტერიტორიის საზოგადოების თავშეყრის ადგილებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მდგომარეობა. მისგან გამომდინარე საშუალება გვეძლევა გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა გადატანილი იქნას მშრომელთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, რათა შენარჩუნებული იქნას პოზიტიური ძვრები ოპერატიული ვითარების გაჯანსაღების საქმეში.

**ნ. ნიშნიანიძე,**
**ტყიბულის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი.**

ПАРТИЙНАЯ ЖИЗНЬ

# Повысить ответственность работы

**В партийных группах проходят отчеты и выборы. В работе первичных партийных организаций важная роль принадлежит именно, партийным группам. Они в основном успешно выполняют поставленные перед ними задачи, позволяют лучше вести партийную работу в подразделениях, повышать ответственность коммунистов за порученный участок работы.**

**Отчетно-выборное собрание в партгруппе участковых инспекторов милиции состоялось на днях в Глданском РОВД г. Тбилиси.**

Вопросы борьбы с пьянством и алкоголизмом, работа с ранее судимыми, укрепление паспортного режима, исполнительская дисциплина были подчеркнуты в выступлениях участковых инспекторов милиции Г. Схиладзе, И. Миханашвили, В. Паресашвили и многих других.

С докладом о работе, проделанной партгруппой за отчетный период, выступил секретарь партгруппы, участковый инспектор старший лейтенант милиции Р. Битиашвили.

— На отчетно - выборном собрании, — сказал докладчик, — мы должны подвести итоги работы нашей партгруппы без фальшивой идеализации, без пустых словопрений, безбоязненно вскрывать имеющиеся у нас недостатки, выявить возможности и конкретные пути улучшения дела.

Прежде чем перейти к отчету о проделанной работе, нельзя не отметить то, что итоги деятельности райотдела рассмотрел Тбилисский городской комитет партии, который признал работу отдела, в том числе и работу участковых инспекторов милиции по укреплению общественного порядка и борьбе с преступностью недостаточной. Это решение стало исходной точкой в деятельности отдела и всего личного состава. Каждый участковый инспектор пересмотрел свою работу, наметил конкретные меры по устранению недостатков.

Партийная группа участковых инспекторов за отчетный период проделала определенную работу по мобилизации коммунистов на успешное решение задач, поставленных перед правоохранительными органами. Большое внимание уделялось вопросам служебной деятельности участковых инспекторов. Систематически на партийных собраниях заслушивались отчеты участковых инспекторов о проделанной работе, были обсуждены и вынесены на утверждение первичной партийной организаций партийные характеристики коммунистов С. Чедия, Р. Битиашвили, О. Кебадзе.

— Участковыми инспекторами проводится большая работа по выявлению и трудоустройству лиц, не занятых общественно полезным трудом, работе с ранее судимыми, — сказал далее докладчик. — «Они помогают также сотрудникам уголовного розыска в розыске и задержании преступников. Однако несмотря на большую работу, которую проводят они, в их работе имеется много недостатков. Все еще низка исполнительская дисциплина, ответственность за порученное дело, имеются случаи нарушения трудовой дисциплины, факты волокичивания жалоб и заявлений граждан.

На эти недостатки указали в своих выступлениях и заместитель начальника РОВД по политической части, майор милиции Р. Арабидзе, заместитель начальника РОВД майор милиции Т. Сахвадзе, секретарь первичной партийной организации старший лейтенант милиции П. Бичинашвили.

Уделяя внимание вопросам служебной деятельности сотрудников, в работе партгруппы не находили отражения вопросы идейно-политической подготовки, повышения профессионального уровня, организации досуга. На эти вопросы необходимо в дальнейшем обратить внимание партгруппе и ее секретарю Р. Битиашвили, который избран во второй раз на эту должность.

Отчеты и выборы — это взыскателный смотр всей работы партийной группы, и они должны способствовать подъему активности коммунистов, их ответственности, усилению боеспособности первичных партийных организаций.

**А. ХУЦИШВИЛИ.**

РЕШЕНИЯ ИДЕОЛОГИЧЕСКОГО АКТИВА — В ЖИЗНЬ

# ПОМОЩЬ ВСЕГДА РЯДОМ

«Коль скоро носители частнособственнических тенденций неминуемо вступают на путь незаконного присвоения создаваемых народом материальных благ, борьба с ними защищает правовые и социально-экономические интересы общества».

**(Из материалов собрания идеологического актива Грузии).**

На первый взгляд кажется, что у них разная сфера деятельности, разная область приложения сил. Но объединяет главное — повседневная, нелегкая, порой опасная борьба за укрепление правопорядка, дисциплины, с частнособственническими проявлениями, которые в нашем обществе объявлены вне закона.

Это — начальник отдела уголовного розыска УВД Тбилгорисполкома, кавалер ордена Красной Звезды, майор милиции Роман Гвенцадзе и оперуполномоченный ОБХСС РОВД имени 26 комиссаров капитан милиции Захар Горделадзе.

**Р. ГВЕНЦАДЗЕ:** Как отмечалось на собрании идеологического актива Грузии, проблема борьбы с частнособственническими тенденциями сложна и многогранна. И это действительно так. Мы, работники правоохранительных органов, призваны искоренять стремление людей к наживе, рвачество, желание обогатиться за счет государства. Большая и серьезная работа требует совместных усилий всех, кому дороги честь, авторитет города, республики. Необходимо более четкое взаимодействие всех служб. Ведь несмотря на то, что мы трудимся в различных областях, делаем-то одно общее дело. Об этом и говорилось на партийном собрании УВД исполкома Тбилгорсовета, состоявшемся после республиканского актива.

**З. ГОРДЕЛАДЗЕ:** Полностью с вами согласен, Роман Леванович. Я сравнительно недавно работаю в милиции, но могу сказать: не перевелись у нас еще любители обогатиться в обход закона, часто приходится заниматься вопросами, касающимися хищений социалистической собственности, спекуляции, приписок и т. д. Вот только один пример. На территории района имени 26 комиссаров расположены два колхозных рынка. Принятое недавно постановление, регулирующее вопросы торговли на рынках, активизировало борьбу за наведение здесь должного порядка, стало для работников внутренних дел большим подспорьем.

Так вот, перед открытием рынка в числе других мы проверили грузовой автобус с сельскохозяйственными продуктами. Среди множества ящиков обнаружили несколько мешков с чаем. У владельца, жителя Азербайджана Асада Рагимова не оказалось никаких документов, дающих право на реализацию продукции. Как потом выяснилось, чай ему предложил в Самтредиа Тариэл Шенгелия. Рагимов приобрел товар по низкой цене, собирался продавать по завышенной. Со спекулянтом Асадом Рагимовым все ясно, а личностью Т. Шенгелия займутся коллеги из Самтредиа. Им предстоит выяснить, откуда у бывшего начальника смены чайной фабрики такое количество припрятанной продукции.

**Р. ГВЕНЦАДЗЕ:** Жажда наживы, дух стяжательства, стремление жить на нетрудовые доходы, обогащаться за счет других движет почти всеми, кто преступает закон. Чем же иным можно объяснить «визит» в квартиру гражданки Д. Левана Киквадзе, Давида Твилдиани, Тенгиза Асояна? Нежелание трудиться на благо общества объединило их с соучастниками Давидом Мгояном, Рачиком Казаряном, Темури Исояном, на счету которых немало преступлений. Хочу сказать, что в столице республики ведется целенаправленная борьба со всякого рода антиобщественными проявлениями. Преступлений становится меньше, сокращается число нераскрытых правонарушений. Однако успокаиваться рано, напротив, борьбу следует активизировать. Органы внутренних дел располагают самой современной техникой, но по-прежнему главным остается вопрос кадров. Если еще лет десять-пятнадцать к нам приходили люди без достаточной подготовки, то сейчас положение изменилось. Большинство сотрудников уголовного розыска — молодые квалифицированные специалисты, которым не хватает разве что опыта. Зато рядом всегда члены активно действующего совета наставников. А это значит, что каждый может рассчитывать на помощь.

**З. ГОРДЕЛАДЗЕ:** Аналогичный совет создан и у нас. От имени молодых сотрудников хочу поблагодарить старших товарищей за их готовность прийти нам на помощь.

**Р. ГВЕНЦАДЗЕ:** У нашей милиции немало славных традиций, и тебе, Захар, твоим молодым коллегам продолжать и приумножать их.

Беседу записал
**Д. ДАВИТАШВИЛИ.**

# არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პროფილაქტიკისათვის

**ცხინვალის** რაიონის პროფტექნიკური სასწავლებლის სახელოსნოები და მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი შესანიშნავად ნაშენებ კორპუსებში, ფართო და ნათელ ოთახებშია, განლაგებული, ჰყავს გამოცდილი პედაგოგები და ტექნიკოს-ოსტატები, რომლებსაც უნარი აქვთ მოამზადონ მაღალკვალიფიციური კადრები. თითქოს სასწავლებელში ყველაფერი კეთდება კიდეც მოსწავლეთა კონტიგენტის ჯანსაღი სულისკვეთებითა და მაღალი მორალური თვისებებით აღზრდისათვის, მაგრამ...

მოსწავლეთა შორის არიან ძნელად აღსაზრდელებიც, ისეთებიც, რომლებშიც შეუსაბამო ოჯახურმა გარემომ ან გარშემო მყოფთა არასახარბიელო წრემ წარმოშვა მავნე მოქმედებისაკენ მიდრეკილება (ხულიგნობა, ქურდობა, ლოთობა და სხვა). ისინი თავს არიდებენ გაკვეთილებზე დასწრებას. ფორმალურად არიან ამოფარებულები პროფტექნიკუმის მოსწავლის მოწმობას. არავინ, თვით მშობლები და პედაგოგები არ არიან, დაინტერესებულნი, თუ რით არიან დაკავებულები ისინი როცა სასწავლებელში არ მიდიან, ან რას აკეთებენ, რა ატმოსფეროში ხვდებიან სასწავლებლიდან თავისუფალ დროს.

უსაქმურობა და მუქთახორული საქციელი კი არცთუ იშვიათად სწორი გზიდან გადახვევის წინაპირობაა. ვფიქრობთ, სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე სასწავლებლის რამდენიმე მოსწავლემ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა.

დანაშაულის ჩამდენთაგან ერთ-ერთია ცხინვალის რაიონის სოფელ დამპალეთიდან ჩამოსული რ. ძიგოევი. მან თავის სოფელში გაქურდა, მეზობლის სახლი, რისთვისაც ცხინვალის რაიონის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ საბჭოთა კანონების ჰუმანურობის გამოყენებით მას სასჯელის მოხდა გადაუვადეს ორი წლით, სასწავლებლის აუცილებელი დამთავრებით.

მიუხედავად რ. ძიგოევის მიმართ გატარებული პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებისა, იგი მაინც არღვევს დადებულ პირობას, რომ გამოსწორდება.

რამ გამოიწვია ამ ახალგაზრდის ზნეობის სოციალისტური ნორმებიდან ასეთი გადახრა? ამ საქმეში შეიძლება ითქვას, მთავარი როლი ითამაშა ოჯახურმა გარემომ. მამამისი რ. ძიგოევი ალკოჰოლური სასმელების დიდი მოყვარულია. დედა კი სუსტი, ავადმყოფი ქალია და მის ძალ-ღონეს აღემატება შვილის სწორი გზისაკენ შემობრუნება.

ამ შემთხვევაში სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივი, აღმზრდელ-მასწავლებლები, პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები უნდა ამბობდნენ თავის სიტყვას. მეტი გაქანება უნდა მიეცეს სპორტულ ღონისძიებათა კომპლექსის გეგმაზომიერ მოწყობა-ჩატარებას, კინოსეანსებზე, თეატრალურ სანახაობებზე კოლექტიურ დასწრებას. ეს გამოავლენს ჯერ კიდევ არასრულწლოვან მოსწავლეებში არსებულ ფარულ მიდრეკილებას სპორტისადმი, ხელოვნებისადმი, მხატვრული ლიტერატურისადმი და სხვა, რაც, უეჭველია, მომავალში გამოიწვევს მოზარდებში სასურველ გარდატეხას.

პერიოდულად სასწავლებლის დირექცია უნდა აწყობდეს მშობელთა მოწვევას სასწავლებელში, მშობლებისა და მოსწავლეების ერთობლივ შეხვედრას სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებთან, უნდა ნერგავდნენ მოსწავლეებში სამართლებრივ პროპაგანდას, აღვივებდნენ მათში საბჭოთა კანონებისადმი მოკრძალებისა და პატივისცემის გრძნობას.

მეტი მუშაობა გვმართებს ჩვენ, არასრულწლოვანთა ინსპექციის მუშაკებს.

ყველა ჩამოთვლილი ღონისძიებების თანმიმდევრული ჩატარება იმისათვის, რომ მრავალმხრივი და საინტერესო გახდეს პროფტექნიკუმის მოსწავლეთა როგორც სწავლის, ისე დასვენების დღეები, უზრუნველყოფს მათს მეტ დაინტერესებას. არჩეული პროფესიით, ხელს შეუწყობს მათ მიერ სამართლებრივი ქცევის ნორმების განუხრელ დაცვას.

**ა. მჭედლიძე,**
**ცხინვალის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი.**

საი



# მთელი სიმკაცრით

**ისევე,** როგორც საერთოდ მთელს ქვეყანაში, საავტომობილო მოძრაობა სულ უფრო ინტენსიური ხდება ჩვენს რაიონში, რაც მწვავედ აყენებს მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემას. ეს კი პირდაპირ კავშირშია მძღოლთა კვალიფიკაციასთან, მათს დისციპლინასთან.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ შეუნელებელ მუშაობას ეწევიან ვანის რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები, რომლებიც დღითა და ღამით პატრულირებენ, არ აძლევენ საშუალებას უდისციპლინო მძღოლებს უხეშად დაარღვიონ მოძრაობის წესები, ხელჰყონ ადამიანის სიცოცხლე. ყოველივე ამან თავისი კეთილმყოფელი შედეგი გამოიღო — საგრძნობლად შემცირდა ავტო-საგზაო შემთხვევები, მისგან გამოწვეული მსხვერპლი, ადამიანის სხეულის დაზიანების ფაქტები. მაგრამ, როგორც რეიდებმა დაგვარწმუნა, ამ მხრივ ჯერ კიდევ როდია ყველაფერი რიგზე — ისევ გვხვდებიან, რომ იტყვიან, თავზეხელაღებული მძღოლები, რომლებმაც ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ დადგენილების მიღებისა და ამის თაობაზე მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად დასკვნა არ გამოიტანეს.

ავტოინსპექციის მუშაკებმა ამ დღეებში სოფელ ბზვანში მცხოვრები, ვ. ტყეშელაშვილი სწორედ მაშინ დააკავეს, როდესაც თავის საკუთარ „ჟიგულს" მთვრალი დააქროლებდა.

ასევე მთვრალი უჯდა საკუთარი „მოსკვიჩის" საჭეს ვანის „სოფლქიმიის" გაერთიანების მძღოლი ნ. ძიმისტარიშვილი; გ. ხურციძე კი კარგად რომ გამოთვრა, მამის კუთვნილი ავტომანქანა გამოიყვანა და აღმა-დაღმა აქროლ-ჩააქროლა. კიდევ კარგი ავტოინსპექტორებმა მათ თავაშვებულ თარეშს დროზე დაუსვეს წერტილი, თორემ ვინ იცის რა მოჰყვებოდა ასეთ სახიფათო „გასეირნებას".

ისინი, ცხადია საკადრისად დაისჯნენ, მაგრამ ერთხელ კიდევ გვინდა მოვაგონოთ ალკოჰოლის მოყვარულ მძღოლებს, რომ ღვინო და მანქანის საჭე ერთმანეთთან შეუთავსებელია, რომ მთვრალი მძღოლი პოტენციური მკვლელია და ისინიც კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან.

ჩვენ, ავტოინპექციის მუშაკები კიდევ უფრო გავამკაცრებთ ბრძოლას უდისციპლინო, მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლების წინააღმდეგ.

**ი. ზარაშენიძე,**
**ვანის შს რაიგანყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი.**

# Тунеядец — антисоциальная личность

ეროვნული ბიბლიოთეკა

Планомерное развитие народного хозяйства страны предполагает привлечение к труду каждого трудоспособного гражданина, поэтому тунеядство следует рассматривать как антисоциальное явление, мешающее нашему продвижению вперед. Паразитический образ жизни несовместим с социалистической моралью и нравственностью. И первейшая обязанность органов внутренних дел — своевременное выявление и профилактика тунеядства.

Как показывают факты, человек, который ничего не дает обществу и стремится жить за счет честных тружеников, легко идет на преступление. К сожалению, у нас немало бездельников, и, как следствие, немало правонарушений.

За последнее время работники Кобулетского районного отдела внутренних дел провели определенную работу по выявлению паразитических элементов. В прошлом году за тунеядство уголовную ответственность понесли несколько человек, которые, несмотря на официальные предупреждения, не занялись общественно полезным трудом.

В районе прошел двухмесячник по выявлению трудовых ресурсов. Зарегистрированы 93 человека, которые нигде не работали и не учились. Все они официально предупреждены, и за каждым из них установлен строгий контроль.

Одна из причин совершения преступлений в районе — нарушение паспортного режима. Местные климатические условия способствуют тому, что сюда в любое время года приезжают люди из разных уголков нашей страны, в числе которых бывают и лица, совершившие уголовные преступления. Часть населения Кобулетского района нанимает их для работы на приусадебных участках во время сезона сбора цитрусовых.

За последние годы в районный отдел внутренних дел доставлено около двух тысяч бродяг. Многие из них по санкции прокурора направлены в приемник-распределитель, за систематическое бродяжничество, тунеядство и нарушение паспортного режима уголовную ответственность понесли десятки паразитирующих элементов.

Несмотря на проведенную работу, в районе по-прежнему много тунеядствующих лиц и бродяг. Руководители некоторых предприятий и учреждений, квартиросдатчики нарушают требования паспортного режима, принимая на работу или квартиры бродяг из других районов республики, о личности которых не имеют никаких сведений. А это нередко приводит к печальным последствиям, поскольку иные из них оказываются уголовниками и вновь совершают преступления.

В Чаквском цитрусовом совхозе в свое время были выявлены семь работников, не имеющих прописки. Аналогичные нарушения имели место на Кобулетском паковочном заводе, где без прописки работали четыре человека, в Цихисдзирском, Аламбарском, Мучаэстатском, Квирикском цитрусовых совхозах, в паковочном пункте села Чахати, филиале паковочного завода села Кобулети, паковочном пункте села Гвара, филиале паковочного завода в селе Хуцубани, на чайных фабриках №№ 2, 3 г. Кобулети.

Нередко эти лица совершают преступления. Например, Гульнара Берикадзе из села Квирике наняла несколько раз судимых Талько и Гуренко. Они взломали квартиру хозяйки и скрылись. В селе Хуцубани у Рамиза Бежанидзе работали из Донецка двое лиц, которые ночью напали на него и его жену, нанесли им тяжелые телесные повреждения и ограбили квартиру.

Следует сказать, что актив района, правления колхозов, партийные и советские органы на местах все еще слабо борются с незаконным наймом рабочей силы населением. Участковые инспектора милиции оставляют этот участок без достаточного внимания, на низком уровне стоит профилактическая работа среди населения. Учитывая это, коллектив Кобулетского районного отдела внутренних дел рассматривает вопросы укрепления паспортного режима в районе и усиления борьбы с тунеядством и бродяжничеством как первоочередные и уделяет им все возрастающее внимание.

**М. КОНЦЕЛИДЗЕ,**
**начальник Кобулетского РОВД, подполковник милиции.**

2 СЕНТЯБРЯ — ДЕНЬ КАПИТУЛЯЦИИ ЯПОНИИ

# И НА ТИХОМ ОКЕАНЕ СВОЙ ЗАКОНЧИЛИ ПОХОД

Окончательный разгром в мае 1945 года фашистской Германии предопределил исход всей второй мировой войны. Однако в странах Юго-Восточной Азии, в бассейне Тихого океана и на Дальнем Востоке военный пожар еще полыхал. Народы Китая и других стран региона, США и Великобритания вели здесь вооруженную борьбу против ближайшего союзника гитлеровской Германии — милитаристской Японии. Она еще оккупировала Корею, Индокитай, Индонезию, Малайю, значительные территории Китая, Бирмы и Филиппинских островов.

В распоряжении японских милитаристов были мощные вооруженные силы. Их численность к лету 1945 года составляла около 7,2 млн. человек, они имели более 10 тысяч самолетов и около 500 боевых кораблей.

В феврале 1945 года на Ялтинской конференции руководители СССР, США и Великобритании договорились, что Советский Союз вступит в войну против Японии через два-три месяца после капитуляции Германии и окончания войны в Европе при следующих условиях: сохранение статус-кво Внешней Монголии (Монгольской Народной Республики); восстановление принадлежавших России прав, нарушенных вероломным нападением Японии в 1904 году, в частности, возвращение Советскому Союзу южной части острова Сахалин и всех прилегающих к нему островов; передача Советскому Союзу Курильских островов.

Советский Союз согласился вступить в войну с Японией, исходя прежде всего из союзнических обязательств и естественного стремления ускорить окончание второй мировой войны. Необходимо было также обеспечить безопасность советских дальневосточных границ, учитывая, что Япония в течение длительного времени вела откровенную агрессивную политику по отношению к России, а затем и к Советскому Союзу.

8 августа 1945 года Советское правительство сделало заявление о том, что с 9 августа Советский Союз будет считать себя в состоянии войны с Японией. 10 августа к этому заявлению присоединилась Монгольская Народная Республика.

Для осуществления стратегического руководства военными действиями на театре, удаленном на многие тысячи километров, ставка Верховного Главнокомандующего И. В. Сталина создала Главное командование советских войск на Дальнем Востоке.

Перейдя 9 августа в наступление, ударные группировки трех советских фронтов к 20 августа продвинулись вперед на 200—800 км, вышли на Маньчжурскую равнину, расчленили японские войска на ряд изолированных группировок, не допустили их отхода в глубь Китая и Кореи и завершили их окружение. Расчеты японского командования на упорную оборону были сорваны. Квантунская армия к концу августа была полностью разгромлена.

Политические и военные итоги блестяще проведенной Дальневосточной кампании оказались весьма внушительными. Главным ее стратегическим результатом явился полный разгром японских войск в Маньчжурии, Северной Корее, на Сахалине и Курильских островах. Эта поистине молниеносная кампания, завершившая освободительную миссию Советских Вооруженных Сил во второй мировой войне, длилась всего 24 дня. В ходе ее были наголову разбиты крупные силы врага; взято в плен 594 тыс. японских солдат и офицеров, захвачено 4.300 орудий и минометов (гранатометов), 686 танков, 861 самолет и другая боевая техника. Противник потерял убитыми около 84 тыс. человек.

Вступив в войну с Японией, СССР ускорил окончание всей второй мировой войны.

2 сентября 1945 года явилось днем рождения первого государства народной демократии в Юго-Восточной Азии — была обнародована Декларация независимости Вьетнама. Двумя неделями раньше 17 августа была провозглашена независимость еще одного суверенного государства — Республики Индонезии.

Советская Армия достойно выполнила свою интернациональную освободительную миссию. Победа, одержанная на Дальнем Востоке, еще раз продемонстрировала могущество социализма, советского общественного и государственного строя, явилась новым торжеством передового советского военного искусства.

**Михаил КИРЬЯН,**
**генерал-лейтенант, доктор военных наук, профессор.**

**(АПН).**

# „ეგრისი“ — რუმინეთსა და უნგრეთში

**საქართველოს** სსრ კულტურის სამინისტროსა და შს სამინისტროს ურთიერთშეთანხმების შედეგად დიდი სამამულო ომის გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად. რუმინეთისა და უნგრეთის ქალაქებში კონცერტების ჩასატარებლად იმყოფებოდა ქ. თბილისის შს სამართველოსთან არსებული სახალხო ანსამბლი „ეგრისი“ (ლოტბარი საქ. სსრ დამსახურებული არტისტი თ. ქევხიშვილი ქორეოგრაფი მსოფლიო ფესტივალების მრავალი გზის ლაურეატი ჯ. ნაჭყებია, ხალხური საკრავი ინსტრუმენტების ტრიოს ხელმძღვანელი ა. ხელაძე).

ჭეშმარიტად ხალხური და მრავალფეროვანი რეპერტუარი წარმოადგინა ანსამბლმა რუმინეთის ქ. ბაკაუში. კონცერტი გაიმართა პროფკავშირების კულტურის სახლში, რომელსაც დაესწრო სამი ათასამდე მაყურებელი.

ანსამბლის მომღერლებმა და მოცეკვავეებმა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით მოხიბლა რუმინელი მაყურებელი. დამსწრეებმა გულთბილად მიიღეს მომღერალთა ჯგუფის მიერ შესრულებული სიმღერები: „თბილისო“, „სულიკო“, სიმღერა „ქალაქური“, „ფიცი“, რუსული ხალხური სიმღერა — „მინდორზე არყის ხე იდგა“, რუმინელი კომპოზიტორის ჯორჯ ენესკუს სიმღერა „ტოროლა“.

უნგრეთის მეშახტეთა ქალაქ კომლოში გავმართეთ კონცერტი, სადაც ანსამბლის გამოსვლას მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ. როგორც მეორე დღეს ადგილობრივი პრესა აღნიშნავდა „ჯორჯიას“ ქვეყნის მომღერლებმა მოხიბლეს უნგრელი მაყურებლებიო“.

კონცერტებისაგან თავისუფალ დროს ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს ქალაქების: პაიანა-ბრაშოვის, ბუქარესტის, სიბიუს, არადის, (რუმინეთში), სეგედის, პეჩის, კამლოს, ბუდაპეშტის, (უნგრეთში) ღირსშესანიშნაობანი.

დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა ანსამბლის წევრებზე ქალაქ ბუქარესტის მონასტერმა სადაც მოღვაწეობდა ანთიმოზ ივერიელი. ანსამბლის სახელით ტაძრის ადგილობრივ მუზეუმს გადაეცა ჩვენი მოკრძალებული საჩუქრები. იქ არსებულ წიგნში კი ჩავწერეთ ჩვენი შთაბეჭდილებანი. მინისტრის ხელმძღვანელობის თხოვნით შესრულებული იქნა ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახი“. ანსამბლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქ. სსრ კულტურის სამინისტრომ და კონცერტების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის მადლობა გამოგვიცხადა.

ანსამბლი თავდადებული შრომით ამდიდრებს თავის რეპერტუარს, რათა მაღალპროფესიონალურ დონეზე გაუწიოს პროპაგანდა ჩვენი ქართველი ერის საუნჯეს — ქართულ ფოლკლორს და თავისი წვლილი შეიტანოს შს ორგანოების პირადი შემადგენლობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

**მ. დგებუაძე,**
**ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, მილიციის გადამდგარი პოლკოვნიკი.**

---

სწრაფად, ოპერატიულად

# გამომძალველი დააკავეს

**თბილისის** ოქტომბრის რ-ნის შს რაიგანყოფილების თანამშრომლების მიერ ავტომანქანის გატაცების და ფულის გამოძალვის ფაქტზე დაკავებული იქნენ თ. ხუდოიანი და ჟ. ჯანოიანი.

თ. ა. ხუდოიანმა გაიტაცა მოქ. ე. ბერუაშვილის მანქანა და გადამალა გარეუბნის ში შ. გამცემლიძის ქუჩაზე № 19-ში, გარაჟის მფლობელი შეიყვანა შეცდომაში ვითომ აღნიშნული მანქანა „ვაზ-21011“ ც 5840 გა მისი მეგობრის იყო და დროებით უნდოდა დაეყენებინა გარაჟში. ხოლო ჟ. ჯანოიანი აწარმოებდა მოლაპარაკებას მანქანის მფლობელთან ფულადი გამოსასყიდის 2000 მანეთის გამოძალვაზე.

გატარებულ ოპერატიულ ღონისძიებებს ხელმძღვანელობდნენ შს ოქტომბრის რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი ა. ჟვანია და უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში, მილიციის მაიორი ფ. არეშევი.

ღონისძიებების გატარებაში მონაწილეობდნენ:

სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ზ. გოშაძე, მილიციის კაპიტანი ლ. ჩიჩუა, მილიციის კაპიტანი ე. მარგებაძე, მილიციის უფროსი ლეიტენანტი გ. მეტრეველი, მილიციის ლეიტენანტი კ. კურდღელია, მილიციის ლეიტენანტი ჰ. ტოტოშვილი.

**თ. ხაბულიანი.**

---

# მკითხველთა საყურადღებოდ!

**1 სექტემბრიდან** იწყება ხელმოწერა გაზეთ „მებრძოლ გუშაგზე“ **1986** წლისათვის.

გაზეთი გამოიწერება მხოლოდ სამსახურის მისამართზე. წლიური ხელმოწერის ფასია 3 მანეთი და 12 კაპიკი.

გაზეთზე ხელმოწერა შეუძლიათ, როგორც შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს, ასევე ნებაყოფლობითი სახალხო და ოპერატიულ-კომკავშირული რაზმეულის წევრებს და შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანებს.

ხელმოწერისათვის მიმართეთ შესაბამის ადგილობრივ შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს.

ფულის გადარიცხვა წარმოებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საფინანსო-საგეგმო განყოფილების ანგარიშზე **№ 000603105** საქ. კანტორის სახელმწიფო ბანკში.

# К СВЕДЕНИЮ ЧИТАТЕЛЕЙ

**ОБЪЯВЛЯЕТСЯ ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ «БОЕВОЙ СТРАЖ» НА 1986 ГОД.**

Подписка годовая и оформляется только в служебный адрес.

Подписная цена — 3 руб. 12 коп.

На газету могут подписаться как сотрудники органов внутренних дел, так и члены ДНД, ОКОД.

За подпиской обращаться в городские и районные отделы внутренних дел.

Деньги перечислять на счет № 000603105 Грузконторы госбанка ФПО МВД ГССР.

---

# ПЕРВЫЙ ВО ВСЕМ

На днях в клубе ОПО МВД Аджарской АССР состоялось торжественное заседание, посвященное проводам на заслуженный отдых одного из самых популярных сотрудников пожарной охраны республики, ветерана пожарно-прикладного спорта, заслуженного тренера ГССР, старшины в/с Михаила Андреевича Дарцмелия.

39 лет проработал он в органах пожарной охраны, снискав за эти годы большую любовь и уважение сослуживцев и друзей. А пришел на работу 17-летним пареньком в 1946 году в пожарную часть по охране Батумской нефтебазы. Начал заниматься пожарно-прикладным спортом с первых же дней службы. И уже через год входил в сборную Аджарии, затем, в 1948-ом, его включают в сборную Грузии, где он остается вплоть до 1965-го года — целых 17 лет!

Шли годы. Была победа на всех чемпионатах республики. И почти всегда одновременно по двум-трем видам. Только в личном зачете Дарцмелия становился чемпионом Грузии 28 раз! По праву считают его сильнейшим в Грузии спортсменом - прикладником. В 50-х годах побеждает в чемпионате Закавказского военного округа, дважды становится чемпионом Вооруженных Сил СССР. Но наибольшего успеха добивается Михаил Андреевич на 1-ом чемпионате Советского Союза, проводимом в 1965 году в Киеве. Поставив перед собой задачу войти в тройку призеров, он весь предшествовавший год усиленно тренировался. Понимая трудности задачи, решил изменить технику преодоления 100-метровой полосы с препятствиями: впервые в стране он стал соединять между собой пожарные рукава в движении, изменил и способ их переноски. Упорные и вдумчивые тренировки не прошли даром. Он становится первым чемпионом Советского Союза в двоеборье и серебряным призером в преодолении 100-метровой полосы с препятствиями.

К сожалению, этот замечательный рекорд так и не был повторен ни одним грузинским спортсменом. И, наверно, символично, что провожали М. Дарцмелия в день 30-летия его славной победы. Кстати, новый способ соединения и переноски рукавов после Киевского чемпионата переняли повсеместно, и сегодня все спортсмены не только нашей страны, но и за рубежом успешно используют его. В том же 1955-ом году Михаилу Андреевичу первому в Грузии было присвоено звание «Мастера пожарно-прикладного спорта». А в 1964-ом, также первому в республике, ему присвоено звание мастера спорта СССР.

В 1965-ом году в возрасте 36 лет он оставляет активные занятия спортом и становится тренером сборной команды Грузии. Здесь раскрылась еще одна грань таланта знаменитого спортсмена. И если сейчас поставить на весы успехи Дарцмелия — спортсмена и Дарцмелия — тренера, вероятно, установится равновесие. Под его талантливым руководством сборная Грузии неоднократно добивалась крупных успехов на всесоюзных соревнованиях. Михаил Андреевич лично подготовил 20 мастеров спорта и 80 разрядников, 32-х кандидатов в мастера спорта. Ему по заслугам присвоено звание «Заслуженного тренера ГССР».

Плодотворная спортивная и тренерская деятельность М. Дарцмелия нашла свое отражение и в наградах. Он награжден Почетной грамотой ЦК ВЛКСМ, Почетной грамотой Верховного Совета ГССР, Почетными грамотами МВД СССР, МВД ГССР и МВД Аджарской АССР, занесен в книгу почета Грузинского Совета «Динамо».

**А. СЕМЕРДЖАН.**

---

# იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი

**საბჭოთა** კავშირის ქალაქებში ერევანში, თბილისში, მინსკსა და ბაქოში დაიწყო იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახ. „დინამოს“ სტადიონი პირველად მასპინძლობს ასეთი მაღალი რანგის ტურნირს,

ჩვენს ქალაქში თავი მოიყარეს „ბ“ ჯგუფის გუნდებმა ბრაზილიამ, ესპანეთმა, ირლანდიამ და საუდის არაბეთმა. ვფიქრობთ, რომ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან თბილისის ჯგუფის შემადგენლობა ყველაზე ძლიერია. ამიტომ მაყურებელი დიდი ინტერესით მოელის იუნიორთა საფეხბურთო სპექტაკლს. „სცენა“ — „დინამოს“ სტადიონი კი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ჩამოსულ სპორტსმენებს, პრესის მუშაკებსა და ფეხბურთის გულშემატკივრებს. იუნიორებს ვარჯიშისა და დასვენების საუკეთესო პირობები შეუქმნეს სტუმართმოყვარე მასპინძლებმა. მათთვის გათვალისწინებულია საინტერესო კულტურული პროგრამა, შეხვედრები შეფებთან. დიდი სამუშაოები ჩატარდა „დინამოსა“ და რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონებზე. ჩვენ მთავარ სტადიონზე: გაფართოვდა კარგად მოვლილი ფეხბურთის სათამაშო მინდორი, ერთიანად გადაკეთდა კეთილმოეწყო პრესცენტრის საკონფერენციო დარბაზი, ფეხბურთელთა გასახდელები, მსაჯთა ოთახი, დაიგო სარბენი ბილიკები და სხვ.

თბილისში ჩამოვიდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო ავილანჟი, რომელმაც პარასკევს პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციას დაესწრო 150 საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტი.

ჟ. ავილანჟმა პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებზე. პრესკონფერენციაზე გამოსულმა ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა გ. ქევანმა გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ ჩვენი რესპუბლიკა ღირსეულად უმასპინძლებს ჩემპიონატს.

ახლა ყველაფერი ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. იმედია ახალგაზრდა სპორტსმენები ლამაზ, შემტევ ფეხბურთს უჩვენებენ ჩვენს მაყურებელს. ალბათ მათ შორის გამოჩნდებიან „ფეხბურთის ამომავალი „ვარსკვლავები“, როგორც ეს იყო იუნიორთა წინა პირველობებზე სადაც თავი გამოიჩინეს ბესონოვმა, მარადონამ, დიასმა და სხვებმა.

გიწვევთ გულშემატკივრებს საფეხბურთო დღესასწაულზე.

**გ. თათეიშვილი.**

---

# უსაფრთხოების შუქურა

**თბილისის** შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის მოძრაობის ორგანიზაციის სამსახურის უფროსის, მილიციის პოდპოლკოვნიკ გ. გულიაშვილის მაგიდაზე აწყვია ქალაქის სამაგისტრალო ქუჩების პასპორტები. აკურატულად შესრულებული ნახაზები, სასიტუაციო ბარათები და ვრცელი ინფორმაცია მრავალი წლის დაკვირვებათა შესახებ, თვალნათლივ გვიჩვენებს ამა თუ იმ ქუჩაზე მოძრაობის უსაფრთხოების მდგომარეობას. პასპორტებში გათვალისწინებულია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ყველა სავარაუდო სიტუაცია, რელიეფის თავისებურებანი, ადამიანთა ყველაზე მეტი თავშეყრის ადგილები და, რა თქმა უნდა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა სტატისტიკა. წელიწადში ორჯერ პასპორტებს გზავნიან თავისი მიწერის ადგილას და ხდება დოკუმენტის რეალურ ვითარებასთან გულმოდგინე შეჯერება, ვიღებთ ერთ-ერთ მათგანს: ხუთი დეკემბრის ქუჩა. ვკითხულობთ: 1982-83 წლებში სავალ ნაწილზე აღრიცხული იყო რამდენიმე, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა. 1984 წელს ამ ადგილებში დაიდგა შუქნიშანი და მოაჯირები. 1984 წლის დამლევისა და 1985 წლის შემთხვევათა გრაფა ცარიელია. გ. გულიაშვილი ცნობარში ჩაუხედავად გვაცნობს ქალაქის მთელ რიგ საინტერესო მონაცემებს. ეტყობა, რომ ეს საკითხები მისი ყოველდღიური საზრუნავია.

— სულ თბილისში 5700 ქუჩაა, — თქვა მან. მათი საერთო სიგრძე შეადგენს მილიონ 97 ათას გრძივ მეტრს, თბილისში 123 საერთო-საქალაქო ქუჩაა, 612 — რაიონული, დანარჩენები კი ადგილობრივი მნიშვნელობისაა. 200 ქუჩაზე გადის ავტობუსის მარშრუტები. ან სწორედ ეს 123 მთავარი არტერია და ნაწილობრივ რაიონული დანიშნულების 112 ქუჩა კისრულობს მთელ სატრანსპორტო დატვირთვას. თბილისი ისე როგორც დიდი ქალაქების უმეტესობა, გადატვირთულია საავტომობილო ტრანსპორტით, დღეისათვის ავტომობილების პარკი შეადგენს 130 ათას ერთეულს. ამის გარდა ქალაქზე ტრანზიტით გადის დაახლოებით 80 ათასი ავტომობილი. ამ პირობებში საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სამსახური უპირველეს მნიშვნელობას იძენს მაგისტრალებზე უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

მძღოლებისათვის ხელის შესაწყობად 1985 წელს ქალაქში შესასვლელებთან და გასასვლელებთან პირველად დაიდგა თვრამეტი მარტივი შუქამრეკლი ნიშანი, რომელიც სამ ენაზეა შესრულებული. თვით ქალაქში დამონტაჟდა და დაიდგა 58 მოცულობითი საინფორმაციო-საჩვენებელი ნიშანი, ამას გარდა, 1 სექტემბრამდე მარჯვენა სანაპიროსა და კახეთის გზატკეცილზე კიდევ დაიდგმება 43 საგზაო ნიშანი.

---

# ЧЕМПИОНАТ МНОГОБОРЦЕВ

**17—18 августа 1985 года в г. Тбилиси проходил чемпионат МВД Грузинской ССР по служебному многоборью.**

**В командном зачете победу одержала сборная команда УВД Юго-Осетинского облисполкома, последующие призовые места заняли коллективы МВД Аджарской и Абхазской АССР.**

**Победителем в личном зачете по сумме пяти видов первенствовал старший инспектор ОК УВД Тбилгорисполкома старший лейтенант в/с Д. Григор, второе место — у старшины Ю. Мамедова, из подразделения по охране сооружений водоснабжения УВД г. Тбилиси, третьим был старший лейтенант милиции Г. Мчедлидзе из УВД Юго-Осетинского облисполкома.**

**Заслуживает одобрения выступление сборной команды УВД Юго-Осетинского облисполкома, которая под руководством инспектора ОК старшего лейтенанта милиции К. Коблова второй год подряд добивается успехов на республиканских соревнованиях.**

**В сентябре 1985 года в городе Огре Латвийской ССР будет проведен чемпионат МВД СССР, в котором примут участие и спортсмены Грузии.**

**А. СМИРНИЦКИЙ,**
**начальник отдела физподготовки и спорта Грузсовета «Динамо», майор милиции.**

**სარედაქციო კოლეგია**
**РЕДКОЛЛЕГИЯ**

ჩვენი მისამართი: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 28. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. **Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24**
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. [illegible] კორპუსი, ხოშარაულის 29.
უე 08874